ვინც შეასრულებს ორ ლოცვას სიცივეში, ის შევა სამოთხეში

აბუ მუუსა ალ-ა'შარი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ვინც შეასრულებს ორ ლოცვას სიცივეში, ის შევა სამოთხეში».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) წაახალისა მორწმუნეები გულმოდგინედ შეესრულებინათ ორი ლოცვა სიცივეში, ანუ ფაჯრისა (დილის) და ასრის ლოცვები. მან ახარა, რომ ვინც სრულად და ზუსტად შეასრულებს ამ ლოცვებს - მათი დროის, ჯამაათში ლოცვის და სხვა მოთხოვნების დაცვით - ეს იქნება მიზეზი, რომ ალლაჰის წყალობით სამოთხეში შევა.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/4198